მაია ფირჩხაძე

დეფექტური და არასრულფასოვანი ცოდნა და გონებრივი აქტივობის სქემები

I ნაწილი - დეფექტური ტექსტი და გონებრივი აქტივობის სქემა

ანტიკური ეპოქიდან მოყოლებული, ფილოლოგების მთავარ ყურადღებას იდეალური ტექსტი იპყრობდა. ცხადია, მოთხოვნა ნათელ, კომუნიკაციურ და ეფექტურ ტექსტზე მაშინაც დიდი იყო. ასეთი ტექსტები მხოლოდ ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებისთვის, ანდა რომელიმე სხვა საგნის შესასწავლად არც მაშინ ყოფილა განკუთვნილი და არც ახლაა ასე. ისინი ნებისმიერი ინფორმაციის წაკითხვისას გვახსენებენ თავს და განსაკუთრებულ მნიშვნელობასაც ამ ინფორმაციის გააზრების პროცესში იძენენ.

ინფორმაციის გადაცემისას უმეტესად გვხვდება ტექსტები, რომლებსაც არ აქვს მკაფიოდ გამოკვეთილი ხასიათი და განისაზღვრება როგორც დეფექტიანი, ანორმატიული, დევიანტური, ანომალიური. მათ აღსანიშნავად ყველაზე ფართოდ გამოიყენება შესიტყვება „დეფექტური ტექსტი“ (აქედან: ტექსტის დეფექტაცია). **ასეთ ტექსტებს აქვს ლოგიკურ-სტრუქტურული, ემოციურ-შეფასებითი სტრუქტურის და სხვ. ფორმის დეფექტები** (ასეთებია, მაგალითად, **სარეკლამო ტექსტები,** სადაც უმთავრესად გვხვდება ტექსტის შეუსაბამობა კანონდებლობასა და მორალურ-ეთიკურ კანონებთან, მარკეტინგულ მოთხოვნებსა და კულტურის ნორმებთან; **მხატვრულ და საქმიან ტექსტებთან** ვაწყდებით თარგმანის, იურიდიულ-ლინგვისტური ენის (კონფლიქტოგენურ), კომუნიკაციურ (მაგ., ჰარმონია-დისჰარმონიის ტიპის), სიტყვის კულტურისა და ფსიქოლინგვისტურ დეფექტურ ტექსტებს, რომლებიც აქცენტს სვამენ პიროვნულ თვისებებზე, შემეცნებაზე; **მეთოდიკისა და პედაგოგიკის დარგში გვხვდება ისეთი დეფექტური ტექსტები, რომლებიც ტექსტებს იყენებს როგორც დიდაქტიკურ მასალას, როგორც მოსწავლის დეფექტური ცოდნის გამოვლენის საშუალებას და ა.შ.).**

როდესაც საქმე დეფექტური ტექსტის მიმართ დამოკიდებულების გამოხატვას ეხება, უნდა გავითვალისწინოთ, რომ **რაც ამჟამად „დეფექტურად“გვეჩვენება, ხვალ შესაძლოა „ნორმალურად“ იქცეს,** ამიტომ ამგვარ ტექსტებთან მუშაობას ევრისტიკული ხასიათი აქვს, ხოლო თვითონ ტექსტებს – შესაფერისი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა, რადგან ისინი გარკვეულ ცოდნას შეიცავენ.

რა არის დეფექტური (ხარვეზიანი) ტექსტი (ცოდნა)?

მაგალითად: მეექვსეკლასელი სახელმძღვანელოში კითხულობს ინფორმაციას ქუთაისის როგორც ისტორიული ქალაქისა და მისი უმაღლესი სასწავლებლის შესახებ და მიდის სიტყვასთან „უნივერსიტეტი“, რომელიც ახსნილია როგორც „სამეცნიერო დაწესებულება“. სახელმძღვანელოს ავტორებს მიაჩნიათ, რომ მას შემდეგ, რაც უმაღლესი სასწავლებლის ცნება განუმარტეს მოსწავლეს, მას ეცოდინება, რა არის „უნივერსიტეტი“. თუმცა ისინი გარკვეულწილად მართლები არიან, რადგან კითხვაზე: „რა არის უნივერსიტეტი“? – მოსწავლე უპასუხებს – „უმაღლესი

სასწავლებელი“ ანუ მოახდენს ცოდნის დემონსტრირებას, მაგრამ ეს **ცოდნა ხარვეზიანია, მისი ხარვეზულობა კი იმაში მდგომარეობს, რომ მოსწავლეს, რომელიც ფლობს ამ „ცოდნას“, არ შეუძლია მისი გამოყენება**, ის უბრალოდ, გაარჩევს „უნივერსიტეტს“ მაგალითად, ქარხნის ღუმლისგან, მაგრამ ვერ დაინახავს რელაურ განსხვავებას სკოლასა და სამეცნიერო დაწესებულებას შორის.

ასეთი „ახსნები“, რომლებიც არ შეიცავს ნამდვილ, სრულფასოვან ცოდნას, არათუ ვერ ასწავლის ბავშვებს ტექსტების გაგებას, არამედ პირიქით; და ეს იმიტომ, რომ ცოდნის „აღმოჩენას“ ისინი ცვლიან მზა „ცოდნით“. თხრობის კონსტრუქციიდან გამომდინარე, „უნივერსიტეტი“ არ შეიძლება იყოს სხვა რამ, გარდა შენობისა; ვერც ფეხსაცმელი, ვერც თავსაბურავი, ვერც ავეჯი ის ვერ იქნება. მაგრამ როცა შემოგვაქვს განმარტება (თუნდაც შენობის ვიზუალური გამოსახულების დამატებით), ამ დროს კონტექსტის აუცილებლობა ქრება, ეს კი ხელს უშლის მოსწავლეს, გაეცნოს, გაიგოს სიტყვის მნიშვნელობა კონტექსტის საშუალებით, **რამდენადაც კონტექსტუალური ცოდნა „გაგება-შემეცნების“ უმნიშნელოვანესი ნაწილია.**

ასეთ შემთხვევებს, როცა „გაგების“ პროცესი იცვლება გაუგებარი „აღმოჩენით“ – სიტყვების დასწავლით, ხშირად ვაწყდებით სახელმძღვანელოებში. მართალია, მათ დასწავლას მოსწავლეები ბრწყინვალედ ახერხებენ, მაგრამ ეს „ბრწყინვალება“ სინამდვილეში მათი განვითარების კატასტროფის ტოლფასია. არადა დიდია ალბათობა, ასეთი ხარვეზიანი ცოდნით მთლიანად „შეივსოს“ მოსწავლეთა გონება, რაც მათ დააკარგვინებთ დამოუკიდებლად რამის გაგების უნარს (ასეთი დასწავლის დროს არ ხდება „ფიქრი“, საერთოდ არ რჩება მისი ადგილი და ტექსტს, რომელიც არ ესმით, ისე გადმოსცემენ მოსწავლეები), თუმცა მოსწავლე/მასწავლებლები ამას ხშირად ვერც კი ამჩნევენ და აცნობიერებენ. სამწუხაროდ, ფსიქოლოგების დასკვნით, **ადამიანების დიდი ნაწილი ასეთ ხარვეზიან ცოდნას „ატარებს“, თანაც ისე, რომ არც კი ეჭვობს ამას.**

მაგალითად, ყველამ ვიცით, რომ „მზე ამოდის აღმოსავლეთით და ჩადის დასავლეთით“. მაგრამ ვინმეს უცდია ამ „ცოდნის“ „გამოყენება“ ჩრდილოეთ პოლუსზე, თეთრი ღამეების დროს, როცა მზე ერთ წერტილში ამოდის და ჩადის? ცხადია, ეს „ცოდნა“ იქ არ გამოგვადგება. **დეფექტური ცოდნაც გამოირჩევა იმით, რომ შეუძლებელია მისი გამოყენება სხვაგვარად, ანუ მისი გამოყენებით ვერ მივალთ სხვა შედეგამდე, ვერ ვიპოვით სხვა გზას, გარდა იმისა, რომელიც ვისწავლეთ და ვერაფერს მივიღებთ, გარდა ამ შედეგის აღიარებისა** (მაშასადამე, იქაც რომ დავუსვათ კითხვა ასეთი ცოდნის მატარებელ მოსწავლეს, პასუხი იგივე იქნება – რომ „მზე ამოდის აღმოსავლეთით და ჩადის დასავლეთით“).

მზის ამოსვლა-ჩასვლის შესახებ არადეფექტური და სრულფასოვანი ცოდნა ასეთია: მზე ამოდის აღმოსავლეთით და ჩადის დასავლეთით წელიწადში მხოლოდ ორჯერ (გაზაფხულისა და შემოდგომის დღეღამსწორობის დროს). ამოსვლისა და ჩასვლის ყველა დანარჩენი დღე იცვლება ჩვენს ნახევარსფეროში – ჩრდილოეთით – გაზაფხულზე, ხოლო სამხრეთით – შემოდგომაზე. ჩრდილოეთ ნახევარსფეროში, პოლარულ წრეში, 23 დეკემბერს და 22 ივნისს მზე ამოდის და ჩადის: ზაფხულში – ზუსტად ჩრდილოეთით და ზამთარში – სამხრეთით (თანაც „ამოსვლა-ჩასვლა“ ძალზე პირობითია; უმჯობესი იქნებოდა გვეთქვა „ზის-დგება“).

თვალსაჩინოებისთვის, რა შედეგამდე მივყავართ დეფექტურ ცოდნას, მოვიხმოთ კიდევ ერთი მაგალითი: ფიზიკის გამოცდაზე ელექტრონის მასის გამოთვლისას მოსწავლემ მიიღო პასუხი - 2 კგ. მიღებული შედეგი მას არ აღელვებს, აბარებს პასუხს და მიდის. მიუხედავად იმისა, რომ იგი წარჩინებულ მოსწავლედ ითვლება, არ არის გონებრივად ჩამორჩენილი, „იცის“, რა არის ელექტრონი და „სწორად“უპასუხა, რომ „ელექტრონი ატომგულის შემადგენელი ელემენტარული ნაწილაკია“, - მან შესაძლებლად მიიჩნია, ამ „ელემენტარული ნაწილაკის“ მასა 2 კგ ყოფილიყო და ამის გამო ვერავითარი უხერხულობა ვერ იგრძნო.

ამიტომ, როცა დაისმის ტექსტის დეფექტურობის როგორც ასეთის არსებობის საკითხი (განსაკუთრებით - როცა საქმე სახელმძღვანელოებს ეხება), უმნიშვნელოვანესია, რომ:

- დასაწყისშივე აღმოიფხვრას ის უზუსტობანი, რომლებმაც შეიძლება ასეთი ხარვეზი გამოიწვიოს;
- მასწავლებელმა გაიგოს მოსწავლის დეფექტური და პოტენციური ცოდნის შესახებ, აღმოაჩინოს ეს ფაქტი;
- იმისთვის, რომ მასწავლებელმა ასწავლოს მოსწავლეს გაგება და აზროვნება, თავადაც უნდა იცოდეს, როგორ არის მოწყობილი აზროვნება და ცნობიერება, როგორ მიმდინარეობს ეს პროცესები და როგორ უკავშირდება ცოდნის შეძენას.

ამისთვის **ყველაზე მოხერხებული საშუალებაა ტექსტების „გაწყობა“ გონებრივი აქტივობის ფაზებზე, გონებრივი „სფეროების“ , „სარტყლების“ შესაბამისად.** ამ პროცესების შესასწავლად ეფექტურია **გონებრივი აქტივობის (გონების ეფექტურობის) სქემა.**

ფსიქოლოგების მიხედვით, ჩვენი **აზროვნება, გონებრივი აქტივობა სამი განზომილებით, სამი სივრცით, სამი „სარტყლითაა“ წარმოდგენილი. ესენია: „სუფთა აზროვნება“ (ა), „აზრი-კომუნიკაცია“ (ა-კ) და „გონებრივი აქტივობა“ (გა).**

„ზედა სარტყელი“
„შუა სარტყელი“
„ქვედა სარტყელი“

სქემა 1. გონებრივი აქტივობის სქემა

„ზედა სარტყელი“

„შუა სარტყელი“	
„ქვედა სარტყელი“	

ის, რასაც ჩვენ ვუწოდებთ წარმოდგენების, სახეების, სურათების, შეგრძნებების განზომილებას, სამყაროს, ცხოვრებას და იმასაც, რასაც ჯერ კიდევ ვერ ვარქმევთ სახელს – მიეკუთვნება აზროვნების **„ქვედა სარტყელს“, მაშასადამე, ეს „სარტყელი“** ასახავს ადამიანის საგნობრივ-პრაქტიკულ (კონკრეტულ, გრძნობად) საქმიანობას (**მაგალითად,** „ადამიანი ხედავს არაფერს, შეიგრძნობს არაფერს, ეხება არაფერს, აკეთებს არაფერს და ა.შ.“).

„საშუალო სარტყელი“ - ესაა ციფრები, სიტყვები, ტექსტი, ყველაფერი, რასაც ვამბობთ და ვწერთ, ანუ ესაა ნიშანთა სისტემასთან დაკავშირებული საქმიანობა; იგი მოიცავს მშობლიურ და უცხო ენაზე ტექსტების კითხვას, პირობითი ნიშნების ამოკითხვას (ალგებრის, არითმეტიკის, ქიმიის და სხვ.). **მაგალითად,** ამის გათვალისწინებით, ზემოხსენებული ადამიანი, რომელიც „ვერაფერს ხედავს“ და „ვერაფერს ამჩნევს“, ამის შესახებ იტყვის: „მე ვხედავ ჩაიდანს მაგიდაზე“. ამრიგად, ერთი და იგივე რამ, ჩაიდანი, **გონებრივი აქტივობის** სქემაზე არსებობს ორგვარი სახით – როგორც რაიმე საგანი, რომელსაც აქვს ცხვირი, სახელური და ა.შ. და როგორც სიტყვა „ჩაიდანი“ (ცნობილია, რომ 5-6 წლის მოსწავლეს არ შეუძლია ერთმანეთისგან გაყოს ჩაიდანი-საგანი და ჩაიდანი-სიტყვა და თუ ვკითხავთ, შეიძლება თუ არა, ჩაიდანს ვუწოდოთ „ბაჭია“ და ამის შემდეგ ავადუღოთ მასში წყალი, ის აუცილებლად გვიპასუხებს: „ცხადია, არ შეიძლება“).

ხოლო **ზედა სარტყელში** აისახება აბსტრაქციები, მოდელები, სქემები, ცხრილები და სხვ. (ჩვენი „ჩაიდანი“ ამ სარტყელში შეიძლება აისახოს როგორც რაიმე სტრუქტურის ელემენტი, როგორც „საყოფაცხოვრებო მოსახურების“ ნივთი ანდა როგორც საყოფაცხოვრებო ნივთების ნაკრები, ანუ აისახოს ჩვეულებრივი ყოფისთვის დამახასიათებელი სტრუქტურით).

მაშასადამე, „ერთი და იგივე“ შესაძლოა, **გონებრივი აქტივობის** სამივე სარტყელში არსებობდეს, მაგრამ განსხვავებული ფორმით – როგორც საგანი, როგორც სიტყვა (ნიშანი) და როგორც აბსტრაქცია (აბსტრაქციის ელემენტი).

ადამიანი სამივე სარტყლით სარგებლობს, თანაც სხვადასხვაგვარად: **თუ ის ხედავს „საგნებს“, წარმოიდგენს მოვლენებს როგორც „სურათებს“, „ფილმს“ და შეუძლია ამ წარმოდგენებით ოპერირება – ის „ქვედა სარტყელში“ „იმყოფება“.** აღსანიშნავია, რომ ეს „ფილმები“ ერთგვარი „მუნჯი ფილმებია“, წარწერების გარეშე, რომლებიც სავსეა შეგრძნებებით, ბგერებით, განცდებით, მაგრამ მათში არ არის სიტყვა (არც ხმოვანი და არც წარწერების ფორმით). ხოლო **თუ ადამიანი „ხედავს“ სტრუქტურებს და მოდელებს და ახდენს მათით ოპერირებას, მაშინ ის „იმყოფება“ „ზედა სარტყლეში“.**

„შუა სარტყელი“ – ეს კომუნიკაციის, აზრი- კომუნიკაციის სარტყელია. როცა ადამიანი ამ სარტყელშია, მას ნიშნების დახმარებით (რომლებიც მხოლოდ ამ სარტყლისთვის არის დამახასიათებელი) შეუძლია „გამოსახოს“, „გააფორმოს“ რაღაც, ანუ ის, რაც „ზედა“ და „ქვედა“ სარტყლებშია და როგორც ინფორმაცია, ისე გადასცეს სხვებს; აღსანიშნავია, რომ ის ცოდნა, რაც აქვს ადამიანს „ზედა“ და „ქვედა“ სარტყლებში, არსებობს მხოლოდ მისთვის და არავისთვისაა ცნობილი, ხოლო ენა

(ენის ყველა ფორმა, ნიშანთა ყველა სისტემა) ყოველთვის ეკუთვნის საზოგადოებას. ამიტომ **„საშუალო სარტყელი“ – ეს არის ადგილი, „ფორუმი“, სადაც ადამიანები ერთმანეთთან ურთიერთობენ.**

სქემატურად ეს ყველაფერი ასე გამოისახება:

სქემა 2. გონებრივი აქტივობის სქემა

	ინდივიდუალური მოდელები და სტრუქტურები	ინდივიდუალური მოდელები და სტრუქტურები	
	საერთო ნიშან-სიტყვათა არე – გარკვეული ჯუგფის ადამიანებისთვის (მშობლიური ენა, უცხო ენა და პირობითი ნიშნები, რომლებიც ასახავს იმას, რაც იმყოფება „სხვებისგან დახურულ ზონაში“ – „ზედა სარტყელში“ და „ქვედა სარტყელში“		
	<u>ინდივიდუალური წარმოდგენები</u>	<u>ინდივიდუალური წარმოდგენები</u>	

მე-2 სქემაზე არსობრივად ორი განსხვავებაა – მარცხენა და მარჯვენა. „სუფთა აზროვნების“ დროს მარცხენა სუბიექტს აქვს ინდივიდუალური მოდელები და სტრუქტურა, ნორმები, კატეგორია და ყველაფერი დანარჩენი, ხოლო მარჯვენა სუბიექტს – თავისი, საკუთარი, ანუ – სხვები, რაც შეიძლება იყოს სხვა კულტურის, სხვა განათლების შედეგი; თუმცა არსებობს საერთო ენობრივი სივრცეც, რომელშიც ისინი ერთმანეთთან კომუნიკაციას მაინც ახერხებენ.

რაც შეეხება გონებრივი აქტივობის **ზედა სარტყელს** (Erlebnis, expérience – „გამოცდილება“), აქ მარცხენა სუბიექტის გამოცდილება, როგორც წესი, არ ემთხვევა მარჯვენა სუბიექტის გამოცდილებას და, შესაბამისად, მის ინდივიდუალურ წარმოდგენებს.

სქემა 3. გონებრივი აქტივობის სქემა





აღსანიშნავია, რომ თუ ორ სუბიექტს (და კიდევ სხვასაც) აღმოაჩნდება ერთი და იგივე გამოცდილება საქმიანობაში, ერთი და იგივე საშუალებები, ისინი მოახერხებენ საერთო ენის გამონახვას, საუბარს, მაგრამ მათი ტექსტი იქნება სხვადახვა, თუმცა ერთსა და იმავე საქმეზე. ეს განსხვავება გამოწვეულია იმით, რომ მათ სხვადასხვა ნორმები, ღირებულებები, მიზნები, საშუალებები, კატეგორიები აქვთ.

სქემა 4. გონებრივი აქტივობის სქემა



ტექსტის ხარისხისთვის, გაგებისთვის, მისი სიცხადისთვის აუცილებელია ნიშან-თვისებათა მთელი წყების ერთობლიობა (იხ. სქემა 3), **რომლის მიხედვით, არადეფექტური და „სუფთაა“ ტექსტი, როდესაც:**

● მასში არის ტექსტის ავტორი (ის მარხცნივაა, შავი ფერის);

● მას აქვს ისეთი „რამ“ (რაც ნახა, გაიგონა, იგრძნო), რისთვისაც ღირდა ცხოვრება (ეს „ქვედა სარტყელია“);

● ამ გამოცდილების გასაზრდელად მას აქვს გარკვეული ნორმები, კატეგორიები, მოდელები, სქემები და სხვა საშუალებები (ეს „ზედა სარტყელია“);

● და ამ ორის საშუალებით ის ქმნის რაღაც ტექსტებს;

● მაგრამ ამის შედეგ მას, ვინც იღებს (ისმენს, კითხულობს) ამ ტექსტს, თუ მას აქვს სხვა გამოცდილება და ნორმები, კატეგორიები და ღირებულებები, საკმაოდ გაუჭირდება გაიგოს, რას ამბობდა ავტორი;

● ანუ მკითხველი (მსმენელი) ამ ტექსტს არ მიიღებს ისე, როგორც ეს უნდოდა ავტორს.

იმისთვის, რომ „გავიგოთ“ ტექსტი, ეს სქემა მთლიანად უნდა წარმოვიდგინოთ, ანუ ტექსტის გასაგებად გვჭირდება ხუთი რამ: 1. ტექსტი; 2. საკუთარი გამოცდილება; 3. გამოცდილება იმისა, ვინც წერდა ან ლაპარაკობდა (და ფიქრი იმაზე, რა განსხვავებაა ამ გამოცდილებათა შორის); 4. არსებული ღირებულებები (სქემები, ნორმები) და 5. ავტორის ღირებულებები (ნორმები). **თუ ეს ნიშნები სხვადასხვაა, საჭიროა, ყოველივე ეს გავაანალიზოთ და შევადაროთ. უამისოდ ტექსტის გაგება არაადეკვატური იქნება.**

როგორც ვხედავთ, **გონების ეფექტურობის სქემა** ერთ-ერთი მოხერხებული საშუალებაა იმის გასაგებად, როგორ არის მოწყობილი სააზროვნო პროცესები და, რაც მთავარია, იგი საშუალებას გვაძლევს გავარკვიოთ, რომ ადამიანისთვის „რაიმე ცოდნა“ – „რაღაც“ – არსებობს მხოლოდ ერთ „სარტყელში“, რაც ქმნის დიდ ალბათობას, ეს ცოდნა იყოს „დეფექტური“. თუ ეს „რაღაც“ არსებობს ორ „სარტყელში“, ცოდნა ამ შემთხვევაშიც კი არასრულფასოვანია და ის სრულფასოვანი გახდება მხოლოდ მაშინ, თუ სამივე „სარტყელში“ ერთდროულად იარსებებს.

ამიტომ **მასწავლებლებს გონებრივი აქტივობის სქემებზე დაყრდნობით, მოსწავლეთა პასუხების, აქტივობებისა და შედეგების გათვალისწინებით, შეუძლიათ განსაზღვრონ გონებრივი აზროვნების შესაბამისი „სარტყელი“, სწორად შეარჩიონ სასწავლო ტექსტები და სახელმძღვანელოები და ამ გზით შეუწყონ ხელი მოსწავლეთა წინსვლასა და განვითარებას.**